საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აფსარუნტის თეატრი

აფსარუნტის თეატრი, უძველესი თეატრი კოლხეთში. ბიზნატ. ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობით, ა. თ. დაარსდა კოლხეთის ქ. აფსარუნტში (გვიანდ. აფსარუ), მედეა|მედეას ძმის, არგონავტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირის – აფსირტე|აფსირტეს სახელის უკვდავსაყოფად (არსებობდა თეატრი და იპოდრომი). VI ს-თვის ამ ნაგებობათა საძირკველიღა იყო შემორჩენილი. არქეოლ. გათხრების შედეგად კოლხეთში მოპოვებული ნივთები (ბაკქუსისა და მსახიობ მიმოსის ქანდაკებები, აქტიორთა ნიღბებისა და თეატრ. შეჯიბრებაში გამარჯვებულთა გამოსახულებანი ჭურჭელზე) ამტკიცებენ კოლხეთის თეატრ.-სანახაობრივი კულტ. მაღალ დონეს.

ლიტ.: ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე დ., ქართული თეატრის ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე, თბ., 1965, გვ. 78–79.

დ. ჯანელიძე